საქ-რთ მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან.
4 „ 30,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 416 სამშაბათი, თებერვლის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს თებერვლის 13

მზის დაბნელება საქართველოში

1—1

## გზა კოოპერაციას

კოოპერაციას აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა. იგი სპეკულიანტურ ბურჟუაზიასთან საბრძოლველი იარაღთაგანია. კოოპერაციის განვითარების ისტორის ყოველი ფურცელი ადასტურებს ამ უდაო ჭეშმარიტებას.

ჩვენში კოოპერატიულ მშენებლობას არა აქვს დიდი წასული თუ ევროპაში კოოპერაციის იდეა კაპიტალიზმის გაშმაგებული ევოლიუციის წიაღში წარმოიშვა, აქ რუსეთსა და საქართველოში, კოოპერატივებისათვის ფართო სივრცის დათმობა ეკონომიური კრიზისების ნიადაგზე აღმოცენდა. ევროპიულ ომის განმავლობაში შესამჩნევის ტემპით მიმდინარეობდა კოოპერაციის წარმატების საქმე. სურსათ-სანოვაგის სიძვირე ქმნიდა მომხმარებელთა შორის კოოპერაციისადმი ლტოლვას.

კოოპერაციის იდეას თავიდანვე ორი მტერი გაუჩნდა. ჩარჩ-ვაჭრები კრიჭაში ჩაუდგნენ კოოპერაციას. ეს მოსალოდნელი და აუცილებელი მოვლენა იყო. განა შეიძლებოდა კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო დაწესებულებათა ჰარმონიულად შეთავსება? ცხადიგ არა. ამიტომ მათ შუა აშკარა ბრძოლა, მძაფრი მეტოქეობა სწარმოებდა.

მეორე მტერიც ყავდა კოოპერაციას უფრო საშინელი მტერი არსებითად, რომელიც ებრძოდა კოოპერაციის იდეურ მხარეს. ეს მტერი იყო სოციალ-დემოკრატია. მენშევიკები ველარ ურიგდებოდენ კოოპერაციის მომავალს. რეფორმისტული მარქსიზმის არგუმენტაციით ხელში ისინი უშენდნენ კოოპერაციის დედა-აზრს. მათის აზრით, კოოპერაციის პრინციპი უნიადაგო, უტოპიური დოქტრინაა. კოპერციის ბრძოლის მეთოდებით შეუძლებელია კაპიტალისტური წარმოების მთლიანი სისტემას ციხესიმაგრეების დანგრევა. პირიქით, კაპიტალიზმის ბასრი ბრჭყალები სპობს და ანადგურებს ყოველგვარ „კოოპერატიულ“ კონკურენტს. რადგან ბურჟუაზიული წყობილება თავისი „იმანენტი“ კანონის ძალით პირდაპირ სოციალისტურ საზოგადოებრივ ცხოვრების სტადიაში გადადის აუცილებლად, საჭირო არ არის კოოპერაციისათვის ბრძოლა. ასეთი საბუთებით და აზრებით ამოიწურებოდა სოციალ-დემოკრატიის პოზიციის გაგება კოოპერაციის საკითხში.

მენშევიკები თავის ნიჰილისტურ თვალსაზრისს პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც ატარებდნენ. მენშევიკების ბატონობის დროს ჩვენში კოოპერაციის განვითარების საქმე ნელის ნაბიჯით ვითარდებოდა, თუ გინდ ნიკოლოზის დროსთან შედარებით. მძლვრი იყო კოოპერაციის სტიქია. მენშევიკები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ მდგომარეობისადმი. ამიტომ ისინი მოყვნენ კოოპერაციის აღმშენებლობის პროცესში. სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატიის „პროტექტორობამ“ საგულისხმოდ დასცა მასსის თვალში კოოპერაციის ავტორიტეტი. დაიწყო კოოპერაციის დეკადანსი. მთავრობის ოფიციოზი გაზ. „ერთობა“ 1920 წლის სექტემბერში მეფისტოფელისებურის ღიმილით აღნიშნავდა ამ მოვლენას.

დღეს კოოპერაციას ახალ პირობებში უხდება მუშაობა. აღარ არსებობს სუბიექტიური ხასიათის შემაფერხებელი შემავიწროებელი გარემოება. საბჭოთა რესპუბლიკა, მშრომელთა კლასი, რომელიც კაპიტალიზმის დამსხვრევის, რევოლიუციონური გზით მიექანება სოციალიზმის სამეფოსაკენ, ფართო ადგილს უთმობს კოოპერაციას. დიახ, კოოპერაციის წინმსვლელობის საქმე საიმედო საფუძვლებზეა დამყარებული.

ცნობილია კოოპერაციის ორი სახე: მომხმარებელი და საწარმოო კოოპერაცია. ამ ჟამად ჩვენში გამეფებულია მომხმარებელი კოოპერატივები. სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ეთმობა საწარმოო კოოპერაციას. ეს დიდი ნაკლია. მართალია, დღითი დღე თვალსაჩინო ხდება უმაღლეს სამეურნეო ორგანოს მოღვაწეობა და პრაქტიკული მიღწევანი რესპუბლიკის მეურნეობის სფეროში, მაგრამ კოოპერაციას საწარმოვო ფორმისადმი მეტი ანგარიშის გაწევა უფრო გაამტკიცებდა, გააუმჯობესებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წარმატების ლიანდაგს. შეუძლებელია მარტო კოოპერატიულ დუქნებით აღინუსხოს კოოპერაციის დიადი მისია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას შეუძლია მეტი რეზულტატების გაღება ჩვენი სოფლის მეურნეობაში.

მეტი ყურადღება კოოპერაციას, მეტი ენერგიის დახარჯვა კოოპერაციის ხერხემლის გაღონიერების საქმეში,—აი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის მორიგი ამოცანა.

გ. მუშიშვილი

## ახლო აღმოსავლეთი

**ანგორიდან გადასახლება.**

**მოსკოვი,** 12 თებერვ. ანგორიდან გადაასახლეს ყოფილ სტამბოლის მთავრობის რამოდენიმე მოღვაწეები, მათ შორის ფერიდ-ფაშა, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე შაკი-ფაშა და სხვები. დაპატიმრებული არიან ანგორის ციხეში ტაირ-ფაშა, სუბი-ფაშა და სხვა მრავალი სულთანის მოღვაწეები.

**განწყობილება ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში.**

**მოსკოვი,** 12 თებერვ. „მორნინგ პოსტი“-ს სტამბოლის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოსმალეთის დიპლომატიური წრეები წინააღმდეგი არიან მოკავშირეებთან მოლაპარაკების განახლების. ისმეტ-ფაშას მიერ წარდგენილი დათმობანი, საეჭვოა, რომ მოიწონოს ეროვნულმა კრებამ.

ოსმალური გაზეთი „ენი გიუს“-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისმეტ-ფაშას დათმობანი ამ ჟამად გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

**ოსმალო ქალი.**

**მოსკოვი,** 12 თებერვ. მუსტაფა-ქემალი აწარმოებს ენერგიულ კამპანიას, რათა ოსმალო ქალს მიეცეს განათლების და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ამ მიზნით ქემალი მართავს მრავალ მიტინგებს, რომლებზედაც მონაწილეობას ღებულობენ ქალები. სასულიერო წოდება ეწევა კონტრ-აგიტაციას.

**ახალი ომის საფრთხე.**

**მოსკოვი,** 12 თებერვ. რუმინიის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ხმებს ახლო აღმოსავლეთში ახალი ომისათვის მზადების შესახებ.

**ბოლგარეთ-ოსმალეთის შეთანხმება.**

**მოსკოვი,** 12 თებერვ. ლოზანადან დაბრუნებულმა სოფიის ეპისკოპოსმა სტეფანმა განაცხადა, რომ ლონდონში არ ეწინააღმდეგებიან ბოლგარეთ-ოსმალეთის შეთანხმების დადებას.

**ქემალ-ფაშას განცხადება**

**მოსკოვი.** 12 თებ ალაჩეკირში გამართულ მატინგზე ქემალ-ფაშამ განაცხადა „მთელმა ქვეყანამ იცის. თუ როგორ შეუძლია ჩვენს ერს თავისი დამოუკიდებლობის დაცვა. მე დარწმუნებული რომ თქვენ დაამსხვრევთ ყველას, ვინც შეეცდება ხალხის ძალა-უფლების შელახვას. დღემდის ჩვენი გამარჯვება იყო ხიშტის გამარჯვება, ეხლა ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ეკონომიურ და კულტურულ საგანმანათლებლო ფრონტზე“.

**საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი**

**მოსკოვი.** 12 თებ. სტამბოლში გაემგზავრა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ზალკანდი.

**რუსეთის მემორანდუმი**

**მოსკოვი.** 12 თებ. საბჭოთა დელეგაციის მემორანდუმმა აღმოსავლეთის საკითხის გამო მიიპყრო ანატოლიის ყურადღება. ოსმალურ ენაზე ნათარგმნი მემორანდუმი ვრცელდება პროვინციებში.

**სამხედრო მზადება საბერძნეთში**

**მოსკოვი.** 12 თებ. მიუხედავად იმისა რომ საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ აქვს სამხედრო ზრახვები, ბერძნები განაგრძობენ სამხედრო მომზადებას მარიცის მარჯვენა ნაპირაზე.

**მოსკოვი** 12 თებ. ამხ. ჩიჩერინმა ბერლინის ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია სეპარატიული ხელშეკრულების დადება ინგლისსა და ოსმალეთს შორის. ამხ. ჩიჩერინმა შემდეგ განაცხადა: „ოსმალეთის დიპლომატიური მდგომარეობა ამ ჟამად საუკეთესოა სამი მიზეზის გამო: არ არის ომის საფრთხე, ოსმალეთის მოწინააღმდეგეთა შორის არსებობს განხეთქილება, ოსმალეთი საბჭოთა რუსეთთან მეგობრულ განწყობილებაშია: ლოზანას კონფერენცია არ ჩაშლილა, არამედ გადავიდა სხვა და სხვა მთავრობების ურთი-ერთ შორის დიპლომატიურ მოლაპარაკების ახალ პერიოდში. რუსეთის დელეგაციის დეკლარაცია უშედეგოდ არ დარჩენილა. სრუტეების სამხედრო გემებისათვის გახსნის საფრთხეს გრძნობენ არა მარტო იტალია და საფრანგეთი, არამედ აგრეთვე ინგლისის ლიბერალები და მუშებიც მიხვდენ, რომ კერზონის წინადადება გამოიწვევს ახალ შეიარაღებას, ახალ გადასახადებს და ახალი ომის საფრთხეს“.

ჩიჩერინის აზრით რურის საკითხი არ გამოიწვევს კატასტროფას, არამედ ის გადაწყდება საფრანგეთის და გერმანიის უშუალო შეთანხმებით.

**სმირნა**

**მოსკოვი** 12 თებერ. ოსმალეთის ჯარების მთავარ-სარდალმა სმირნაში განუმეორა მოკავშირეთა გემებს ბრძანება ნავთსადგურის დატოვების შესახებ.

მოკავშირეებმა მიიღეს ინსტრუქცია— ოსმალების მხრივ თავდასხმის შემთხვევაში მიმართონ იარაღს.

ოსმალების გადაწყვეტილება გამოურკვეველია, რეიტერის სააგენტოს სიტყვით სმირნის ნავთსადგურში მოწყობილია ნაღმები, ნაპირზე კი დადგმულია ბატარეიები.

— მდგომარეობა სმირნაში ისევ კრიტიკულია.

— ამერიკა თავის თავს ნეიტრალურად სთვლის და არ უერთდება მოკავშირეთა პროტესტს ოსმალების მოთხოვნილების წინააღადეგ სმირნის ნავთსადგურიდან მუშების გაყვანის შესახებ.

— ოსმალეთის და მოკავშირეთა სამხედრო სარდლობის შორის მიხწეულია შეთანხმება არსებულ მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ, სანამ საკითხი სამხედრო გემების შესახებ დიპლომატიურის გზით იქნება გადაწყვეტილი.

## რურის ოლქის ოკუპაცია

**დემონსტრაცია პარიზში.**

**მოსკოვი.** 12 თებერ. საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო პარიზში დემონსტრაცია ზავის სასარგებლოდ და გამოაქვეყნა პროტესტი რურის ოლქის დაკავების წინააღმდეგ.

**სურსათის საკითხი.**

**მოსკოვი.** 12 თებერ. „მატენ“-ის ცნობით ფრანგები ცდილობენ უზრუნველყონ სურსათით რურის მცხოვრებთა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დათანხმდება მოკავშირეებთან „თანამშრომლობაზე“.

**გერმანის მთავრობის ნოტა**

**მოსკოვი.** 12 თებერ. გერმანიის მთავრობა ნოტაში, რომელიც მან საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა, აცხადებს, რომ ფრანგების უკანასკნელი ზომები რურში არის საერთაშორისო უფლების დარღვევა.

**პროტესტები რუსეთში.**

**მოსკოვი.** 12 თებერ. უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებში გრძელდება საპროტესტო დემონსტრაციები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

დონის ოლქის პროფ-კავშირთა საბჭომ რურის მუშების საგაფიცვო ფონდისათვის გადასდო 1000 მანეთი ოქროთი.

ხარკოვის მთავარი დეპოს მუშებმა რურის მუშების სასარგებლოდ გადასდეს თვიური ჯამაგირის 1 პროცენტი.

**ფრანგების წინადადება.**

**მოსკოვი.** 12 თებერ. 9 თებერვალს ფრანგებმა კიდევ დაიკავეს რამდენიმე ქალაქი. საღამოზე განზრახული ქონდათ ელბერფელდში შესვლა.

ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობის ცენტრი ზოლინგენი, რომელიც მდებარეობს ბრიტანეთის ოკუპაციის ზონაში შემორტყმულია საფრანგეთის ჯარებით და ამ დღეებში, ალბად მას დაიკავებენ ფრანგები ბარმენის ელფერფელდის და საფეიქრო მრეწველობის ყველა მნიშვნელოვან პუნქტების დაკავების შემდეგ მაშინ რურის მთელი მრეწველობა ფრანგების ხელში იქნება.

**შვეიცარიის პროტესტი**

**მოსკოვი.** 12 თებერ. შვეიცარიამ პროტესტი განაცხადა ფრანგების მიერ რურის ნახშირით დატვირთულ მატარებლის შეჩერების გამო. ნახშირი იგზავნებოდა შვეიცარიაში.

**გერმანიის ნაციონალ-დემოკრატების პოზიცია.**

**მოსკოვი.** 12 თებერ. გერმანიის ნაციონალურ დემოკრატების ყრილობაზე გილფერდინგმა განაცხადა, რომ ნაციონალ-დემოკრატები არ აცხადებენ პროტესტს რეპარაციების წინააღმდეგ, მაგრამ, თუ პუანკარე შეეცდება რურის გამოყოფას, მაშინ ისინი სათანადო წინააღმდეგობას გაუწევენ.

**რურის რკინის გზებზე.**

**მოსკოვი,** 12 თებერ. რურის ოლქის მთელი რიგი რკინის გზებისა დაკავებულია ფრანგების ჯარების მიერ. გერმანიის რკინის-გზელები შეცვლილი არიან ფრანგებით.

**საფრანგეთის რეჟიმი.**

**მოსკოვი,** 12 თებერ. ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში საფრანგეთის რეჟიმი დღითი-დღე აუტანელი ხდება. გერმანიის მცხოვრებნი განაგრძობენ ფრანგებისათვის პასიურ წინააღმდეგობის გაწევას.

**ინგლისელების მოქმედება.**

**მოსკოვი,** 12 თებერ. ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა ყოფა-ქცევა რურის ოლქში დიდ სასოწარკვეთილებას იწვევს გერმანელ წრეებში. ფრანგებმა მოაწყვეს საკონსულო სადგურები ინგლისელების მიერ დაკავებულ ზონაში, რის წინააღმდეგ ინგლისელებს პროტესტი არ განუცხადებიათ.

ინგლისის ჯარების სარდალმა კელნში რკინის გზელთა პროფკავშირის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ ინგლისის ხელისუფლება სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს გაფიცვის გამოცხადებას ინგლისის ზონაშიო.

**რურის მუშათა სასარგებლოთ.**

**მოსკოვი,** 12 თებერ. გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირთა პრეზიდიუმმა მიმართა პროფკავშირთა წევრებს და მოუწოდა შესწირონ ერთი საათის მუშაობის ხელფასი რურის მუშათა სასარგებლოდ.

პროფ-კავშირთა გაერთიანების ყველი წინამძღოლები დასთანხმდენ შექმან დახმარების საერთო ფონდი მწარმოებლებთან ერთად, რომელთაც აღუთქვეს შეიტანონ ორჯერ მეტი თანხა ვიდრე მუშებმა.

**ფრანგების რეპრესიები.**

**მოსკოვი.** 12 თებ. როკლინგაუზენში ფრანგებმა გაფანტეს ხალხი ჯავშნიანი ავტომობილებით ფრანგი ოფიცრები შეიჭრენ თეატრში, გარეკეს მაყურებელნი და დააპატიმრეს პოლიციელები, რომელთაც უარი სთქვეს მიეცათ მათთვის სამხედრო სალამი. ქალაქში გამოცხადდა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა.

**საფრანგეთის ესკადრონები არ ემორჩილებიან.**

**მოსკოვი.** 12 თებ. გერმანიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით საფრანგეთის ერთმა ესკადრონმა უარი განაცხადა იმ მუშების, მოხელეების და ვაჭრების წინააღმდეგ გამოსვლაზე, რომელთაც მეზობელ ქალაქში გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია.

ფრანგმა ჯარის-კაცებმა განაცხადეს, რომ არა სურთ გამოვიდენ მოქალაქეთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის სარდლობა იძულებული იყო ბრძანება გაეუქმებია.

**გაფიცვები რკინის გზებზე.**

**მოსკოვი.** 12 თებ. რურის რკინის გზებზე გაფიცვა ფართოვდება. ბელგი-C

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მიერ დაკავებულ ლოზანაში რკინის გზის ყველა სადგურები დახურულია. საფრანგეთის ზონაში გაფიცვა გავრცელდა კომლენცსა და ლიუდვიგეგაფენამდე. ტრირის, ბონის და მაინცის რაიონებში გაფიცვა სავსებით ტარდება.

ჩრდილოეთ საფრანგეთის რკინის გზის უფროსმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა რურში რკინის გზებზე მოძრაობის მოწყობა, უარი განაცხადა დავალებების შესრულებაზე, ვინაიდან მას ეს შეუძლებლად მიაჩნია მუშების თანამშრომლობის გარეშე. გენერალი დიგუტი რკინის გზელებს ემუქრება სამხედრო სასამართლოში.

### ·ინჟინრების კონტროლი

**მოსკოვი.** 12 თებ. „მანჩესტურ გარდიენ"-ის ცნობებით, საფრანგეთის სარდლობის და ინჟენერებს შორის ადგილი აქვს შეხლა-შემოხლას, ნახშირის მაღაროებზე და ქარხნებზე დღემდე ინჟენერების კონტროლის შემოუღებლობის ნიადაგზე.

### შეტევა გრძელდება.

**ჰანოვერი.** 12 თებერ. საფრანგეთის ჯარების წინსვლა გრძელდება. არის ცნობები განზრახულ ახალ წინსვლის შესახებ ბაუენში.

### ძალადობა.

**ჰანოვერი.** 12 თებერვ. ყველგან, სადაც საფრანგეთის საოკუპაციო არმია შედის ძალადობას აქვს ადგილი.

საარიის ოლქში ფრანგ სალდათებს ხიშტებით გაჰყავთ სამთამადნო მრეწველობის მუშები სამუშაოთ.

### ფრანგების მიერ უარისთქმა ოფიციალურ განმარტებაზე.

**ჰანოვერი.** 12 თებერვ. გერმანიის მთავრობა საფრანგეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში, უარყოფს ყველა განცხადებებს, რომელიც ამართლებს ძალდატანებით ღონისძიებებს. საფრანგეთის მთავრობა გააჩუმებდა გერმანიას თუ გერმანია უფრო სუსტი აღმოჩნდებოდა. საფრანგეთის გადახვევა თავის პოზიციის ოფიციალურ განმარტებისაგან მოასწავებს ძირითად დებულების სისუსტის აღიარებას.

### მცხოვრებთა ინტერესები მათ არ ეხებათ.

**ჰანოვერი.** 12 თებერვ. ლიუნენსა და შენგელში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს საზოგადოებრივ სასადილოს, რის გამოც მცხოვრებთა კვება უნდა შესწყდეს.

### პოლიციელების დაპატიმრება.

**ჰანოვერი.** 12 თებერვ. აპატიმრებენ პოლიციელებს, რომელნიც უარს ამბობენ ფრანგ-აფიცრებისათვის სამხედრო სალამის მიცემაზე.

### ფრანგების პირობები

**ჰანოვერი** 12 თებერვალი. უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის დიდძალი ჰაეროპლანები დაფრინავენ რურის ოლქზე. ჰაეროპლანები იღებენ ფოტოგრაფიულ სურათებს იმ მაღაროებისა და ქარხნებისას, სადაც აკრძალული იყო საინჟენერო კომისიის წევრთა შესვლა. ჰაეროპლანები ჰყრიან პროკლამაციებს.

### ჭეშმარიტებას მალავენ

**ჰანოვერი** 12 თებერვალი. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ არც ერთმა გერმანიის გაზეთმა არ გამოაქვეყნა გავასის სააგენტოს დეპეშა იმის შესახებ, რომ გერმანიას დეკემბერში არ გადაუხდია მხოლოდ 84677 ტონა ნახშირი.

### შეთანხმდნენ

**ჰანოვერი** 12 თებერვალი. ბრიუსელში გამართულ თათბირზე ტროკეს და ჯასპარს შორის მიღწეულია სრული შეთანხმება რურის ოლქში მომავალ საერთო ღონისძიებათა შესახებ.

### მუშები ქედს არ მოიხრიან საფრანგეთის ხიშტების წინაშე.

**ჰანოვერი,** 12 ბოხუმის მუშური გაზეთი სწერს: რურის მუშებმა გამოიჩინეს მტკიცე ნებისყოფა და ქედი არ მოიხარონ საფრანგეთის ხიშტების წინაშე.

### კვლავ თათბირობენ,

**ჰანოვერი** 12 თებერ. საფრანგეთის გზათა მინისტრი ტროკე ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრთან ჟასპართან ერთად 10 თებერვალს ჩავიდა პარიზში პუანკარესთან სათათბიროდ,

### აღიარებენ თავიანთ სიკოტრეს.

**ჰანოვერი** 12 თებერ. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობები ჟასპარის და ტროკეს პუანკარესთან მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს განზრახული აქვთ განაახლონ მოძრაობა მხოლოდ უმთავრეს რკინის გზის ხაზებზე. ამ დადგენილებას გერმანიის მთავრობა იხილავს, როგორც თავიანთ სიკოტრის აღიარებას.

### მდგომარეობა უარესია ვინემ ეს წარმოდგენილი ჰქონდათ.

**ჰანოვერი** 12 თებერ. ბერლინის გაზეთების ცნობით ჩიუკლინსგაუზენი ახდენს სამხედრო ბანაკის შთაბეჭდილებას. ქალაქი სავსეა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ პატრულებით.

„ფორვერსტის" რედაქტორი, რომელიც გაემგზავრა რურის ოლქში ფაქტების აღსადგენად აცხადებს, რომ ის რაც იწერებოდა დღემდე რიუკლინს გაუზენზე დაშორებულია ნამდვილ ამბებისაგან.

მაღაზიების პატრონებმა გერმანელი მყიდველებისათვის საქონლის შენახვის მიზნით შესწყვიტეს ფრანგებისათვის საქონელის მიცემა. საფრანგეთის ოფიცრები იჭრებიან მაღაზიებში, სცემენ ვაჭრებს და გზავნიან ციხეებში.

ყველა კრებებს სასტიკად ჰფანტავენ. ყველა პოლიციელები დაპატიმრებულნი არიან.

ოფიცრებმა კეტების ცემით გამორეკეს გერმანელები თეატრებიდან.

### საწოლების გადაცემაზე უარის თქმა

**ჰანოვერი** 12 თებ. ესსენში წარადგინეს მოთხოვნილება ყველა საავადმყოფოების საწოლების გადაცემაზე რაზედაც უარი მიიღეს.

### არ შეიბრალეს ავადმყოფი.

**ჰანოვერი,** 12 თებერვ. სატყეო სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორი, ჰუალცის მცხოვრები, რომელიც მიუხედავად ავადმყოფობისა იქნა გადასახლებული ოჯახობით, სულიერი მღელვარების გამო გზაში გარდაიცვალა.

### გერმანელ მინისტრების შესვლის აკრძალვა თვით მცხოვრებთა „ინტერესების დაცვის მიზნით".

**ბორდო,** 12 თებერვ. პუანკარეს, ჟორპარს და საფრანგეთის რამოდენიმე მინისტრებს შორის თათბირის შემდეგ, ეცნობა გერმანიის საელჩოს პარიზში, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა შენიშნეს რურის მრეწველების და მოხელეების მღელვარება კანცლერ კუნოს მიერ რაიონში მოგზაურობის შემდეგ. თვით მცხოვრებთა ინტერესების დაცვის მიზნით, აკრძალულია რურის ოლქში ყველა გერმანელ მინისტრების შესვლა.

## უცხოეთი

### კოლლაროვის გაძევება.

**მოსკოვი,** 12 თებერ. კომინტერნის დმივანი კოლლაროვი სამუდამოდ გაძევებულ იქნა ჩეხო-სლოვაკიის ფარგლებიდან იმ სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოსთქვა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე.

### სახალინი და იაპონია.

**მოსკოვი** 12 თებერ. „ჯალან ტაიმს"-ის ცნობით იაპონიამ შეატყობინა თავის ელჩს ვაშინგტონში, რომ დაიკავარა სახალინი, როგორც გარანტია, ის არ სცნობს დაკავებულ ტერიტორიის სახელმწიფოების უფლებას და ინტერესებს.

იაპონელებმა სახალინს კარტალუტო დაარქვეს. ისინი აპირებენ სახალინის თევზის მრეწველობის იჯარით გაცემას. სწარმოებს სახალინის ქვა-ნახშირის დამუშავება. მოეწყო კომიტეტი სახალინის გეოლოგიურ გამოკვლევისათვის.

### ლიტვაში.

**მოსკოვი,** 12 თებერ. ლიტვის სახელმწიფო ბანკმა საზღვარ გარეთ გადაგზავნა 14 მილ. მან. ოქროთ. ოფიციალურად ამას ასაბუთებენ აღმოსავლეთ ევროპიდან მოსალოდნელ საშიშროებით.

### საფრანგეთის მემაღაროეთა შორის.

**მოსკოვი,** 12 თებერ. საფრანგეთის მემაღაროების ფედერაციის ეროვნულმა საბჭომ პრინციპიალურად ერთხმად მიილო რეზოლიუცია 15 თებერვლისათვის საფრანგეთის ყველა ნახშირის მაღაროებში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. დელეგატებმა, რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ 150,000 მემაღაროებისაგან, რეზოლიუცია უკამათოდ მიიღეს. 52,000 მემაღაროების დელეგატებმა ხმა მისცეს ზოგიერთი შესწორებების შეტანით.

სამთო მადნო ქარხნების მეპატრონეთა კომიტეტისადმი წერილში ეროვნული საბჭო აყენებს მოთხოვნილებას დღიური მუშებისათვის სამუშაო ხელფასის გადიდების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დაპირების შესახებ·

### „თავისი თავი მსხვერპლად მიიტანეს"

**ბორდო** 12 თებერვალი. „პტი პარიზაენი" ათავსებს გენ. პელლეს დეკლარაციას, რომელშიაც ის ხაზ გასმით აღნიშნავს საფრანგეთის რაინდულ მოქმედებას ლოზანას კონფერენციაზე, მიიღო რა ოსმალების მიერ წარმოდგენილი მისთვის არა სა[illegible] და ფინანსიური პირობები.

### ლორდ კე[illegible] მნიშვნელოვანი სიტყვისთვის

**ჰანოვერი** 12 თებერვალი. „დეილი მეილი" იტყობინება, რომ ახლო მომავალში ლორდ კერზონი თემთა პალატაში წარმოსთქვამს დიდათ მნიშვნელოვან სიტყვას ლოზანას კონფერენციის შესახებ.

### მცირე ანტანტა.

**მოსკოვი.** 12 თებ! მტკიცდება მცირე ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენციის შესახებ ბუქარესტში სადაც განხილულ იქნება მოთხოვნილება ჰუნგრეთის და ბოლგარეთის განიარაღების კომისიაში მცირე ანტანტის მონაწილეობის შესახებ.

### ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი.

**მოსკოვი.** 12 თებ. ამერიკის სენატმა მიიღო კანონი, რომლის ძალით ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი უდრის 340 მილ. დოლარს და ამერიკის ჯარების რიცხვი 125.000 ჯარისკაცს და 12.000 ოფიცერს

### ამერიკა და ფილიპინის კუნძული.

**მოსკოვი.** 12 თებ. ამერიკის სენტმა უარყო წინადადება, ფილიპინის კუნძულებისთვის დამოუკიდებლობის მიცემის შესახებ.

### მუსოლინი თავის თავზე ღებულობს პასუხისმგებლობას.

**რომი,** 12 თებერ. მუსოლინმა, შეეხო რა შინაურ პოლტიკას, განაცხადა პარლამენტში, რომ ის თავის თავზე ღებულობს სრულ პასუხისმგებლობას იმ რეპრესიებისათვის, რომელიც მიმართულია კომუნისტების წინაალმდეგ. ის აცხადებს, რომ ფაშისტური ხელისუფლება იმდენად სუსტი არ არის, რომ ვერ შესძლოს თავდაცვა შინაურ და გარეშე მტრების შემოტევის შემთხვევაში.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, მუსოლინმა განაცხადა, რომ ის პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდენ იტალიის დიპლომატები ლონდონში და ლოზანაში, იტალიას ანთავისუფლებს პასუხისმგებლობიდან იმაში, რომ მსოფლიო კიდევ ვერ ეღირსა ზავის ჩამოგდებას.

### ერთა ლიგაში შეიარაღების შემცირება

**ბორდო** 12 თებ. შეიარაღების შემცირების შეერთებულმა კომისიამ, რომელიც

---

# საღამოს მუსაიფი

IV

ვინც მეურნეობას პირდაპირ და უშუალოთ აწარმოებს, მან კარგად იცის, რომ ყოველს ორგანიულ არსებას, როგორიც არის ცხოველი და მცენარე, სჭირდება თვისი ბუნების შესაფერი არე. ამ ხელ-საყრელ არეში ეს არსება საზრდოობს, იზრდება, განვითარებას განიცდის და მრავლდება. უამისოთ კი იგი არსება მჭლევდება, ჴნინდება, ხმება და უდროვოთ იღუპება: ასეთი არსება პატრონს სარგებლობას კი არ აძლევს, ზარალს აყენებს. არე რომ არსებისთვის ხელსაყრელი იქნეს, ამ არეს უნდა ექნეს საჭირო სითბო ჰაერში და ამგვარივე სითფო ნიადაგში. ამასთანავე ჰაერიც და ნიადაგიც შეზავებული უნდა იქნეს არსებისთვის საჭირო ნივთიერებით. მხოლოდ ასეთ არეში. ასეთ ატმოსფერაში ხარობს არსება. ეს მიუცილებელი პირობაა, რომ ორგანიული არსება უდროოთ არ დაიღუპოს, არ მოისპოს. ეს უტყუარი დასკვნაა ყოველი მეურნის ყოველდღიური დაკვირვებისა. მაგრამ ესევეა დასკვნა და დასტური მეცნიერებისა, რომ ყოველს ორგანიულ არსებას თვისი არსებობის განგრძობისა, ზრდისა, განვითარებისა და გამრავლებისთვის უეჭველათ სჭირდება განსაზღვრული რაოდენობა ყოველდღიური საზრდოსი, განსაზღვრული სითფო ჰავისა და ნიადაგისა და განსაზღვრული ტერიტორია, სადაც ეს არსება და ამ არსების ჯიში უნდა ცხოვრობდეს და მოძრაობდეს. ეს ყოველივე უტყუარი დებულებაა და იგი ყველასაგან მიღებულია. ამის წინაალმდეგ ამიტომ დავა და კამათი არ წარმოებს.

მაგრამ ყველასათვის ასეთივე ჭეშმარიტება არ არის, რომ ადამიანის სულიერ მადლს ამნაირათვე სჭირდება შესაფერი მორალური და სულიერი არე, რომ ადამიანი, საზოგადოება განვითარდეს, არ დაკნინდეს, არ გადაგვარდეს და არც მოისპოს, პირისაგან დედამიწისა არ აღიგავოს. მაგრამ ეს დებულებაც, ამის მიუხედავათ, ამგვარადვე სავალდებულოა და მიუცილებელი ჭეშმარიტებაა. ადამიანისთვის ამ ხელ-საყრელ არეს, ამ შესაფერ ჰავას წარმოადგენს მორალური და სულიერი ატმოსფერა, ანუ ზნეობრივი ტემპერატურა, როგორც ამას უწოდებს იპოლიტე ტენი. ამ ხანათ ჩემი სურვილია, ეს დებულება შევამოწმო და დავადასტურო ქართველი ერის ცხოვრებიდან ამოკრეფილი ფაქტებით. ეს კი ორ-გზით იქნება საგულისხმო. ერთი მხრით იმით, რომ ჩვენი ერის ისტორიაც ამ კანონის გარეშე არ წარმოობს, და მეორეც, რაც უფრო საგულისხმოა, გამოაშკარავდება ბევრი რამ თვისება ჩვენი ერისა და გაირკვევა ძირითადი თვისებანი ქართველი ერის ხასიათისა და სულიერი მადლისა.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ერის სულიერმა მადლმა თვისი უაღრესი გამომჟღავნება და გამოთქმა მოახდინა მეთერთმეტესა და მეთორმეტე საუკუნეებში. ამ დროს ამეტყველდენ უნიჭიერესი მჭერმეტყველი მქადაგებელნი ქრისტიანობისა. ამავე დროს ამოქმედდნენ ფილოსოფოსნი, რომელთ თვისი გონების თვალნი მიაპყრეს ძიებასა და კვლევას საკაცობრიო კითხვათ. გაჩდენ ისტორიკოსნი, რომელთაც კრიტიკული მეთოდით იკვლევდნენ საისტორიო მოვლენათ. გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე ნამდვილი სამეცნიერო წესებითა და მეთოდით ამუშავებენ საისტორიო მასალას, როგორც ამას ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა. ამავე დროს ამუშავდა პოლიტიკურ მოღვაწეთა აგზნებული ნების-ყოფა და ამათ მოითხოვეს წარმომადგენლობითი მართვა-გამგებლობა, ე. ი. ევროპის მეცხრამეტე საუკუნის ასე წოდებული პარლამენტარული სისტემა. ამავე დროს ამუსიკდა ჩვენი ალმაფრენის მადლი, რომელმაც შექმნა გენიოსური ნაწარმოები „ვეფხის ტყაოსანი". აი, ასე ამუშავდა ყოველ დარგში და ყოველ სფეროში ქართველი კაცის ბუნებრივი ნიჭი და სულიერი მადლი.

ამ ფაქტებიდან ცხადია, რომ იმ ხანად ქართველი კაცი მოთავსებული და მომწყვდეული იყო ერთგვარ ატმოსფერაში, ერთგვარ მორალურს ამგზნებელ ტემპერატურაში, სადაც ქართველი კაცის ნიჭი ამუშავდა, ამოქმედდა და ამ მოქმედებამ წარმოშვა შესანიშნავი მოვლენანი. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ, რა იყო ეს ატმოსფერა, ეს ტემპერატურა, რომელიც ასე მადლიანად მოქმედობდა ქართველი კაცის გონებასა გრძნობასა და ნების-ყოფაზე. ჩვენ ღრმა რწმენით, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ სულიერსა და კულტურულ ღირებულებაში, რომელიც შესძინა და თვალის წინ დაუყენა ქართველ კაცს საბერძნეთის კულტურამ, რომელიც იმ ხანად ქრისტიანობის საშუალებით მოეფინა საქართველოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი საბერძნეთის კულტურის გავლენა გავრცელდა ჩვენში არაბთა ბატონობის დროს, მერვე საუკუნიდან, არაბთა ზეგავლენით, რადგან რომის დაღუპვის შემდეგ, პირველნი არაბები იყვნენ, რომელნიც ხარბად დაეწაფენ საბერძნეთის ძველ კულტურას და რომელთაც ეს კულტურა მკვდრეთით აღადგინეს და მოფინეს მთელ ევროპას, იმ ჟამად წყვდიადში გახვეულს. თუ ევროპაში ასე იყო, ეს კი უტყუარი ფაქტია, ჩვენშიც ასე უნდა მომხდარიყო. არაბული ციფრების ხმარება ჩვენში ხომ წინათ იქნა შემოღებული, ვიდრე ევროპაში. ამას მოწმობს ქუთაისის, ბაგრატ მესამის ტაძრის წარწერა არაბული ციფრით. აი, ამ კულტურაში, ამ კულტურის ყოველ დარგში გაიფურჩქნა ქართველი კაცის ნიჭიერება. ესკულტურა ამისთვის ბუნებრივ ატმოსფერას წარმოადგენდა და მას სამოქმედოთ აღაგზნებდა ხოლმე. მაშასადამე, ცხადია, რომ ქართველი კაცის ბუნებასთან შეზრდილი ყოფილა საბერძნეთის კულტურა. ამ კულტურაში შეეძლო, ეცოცხლა და ემოქმედნა ქართველი კაცის სულიერ მადლს. მხოლოდ ამ ატმოსფერაში შეეძლო მას ეყნოსა და თვისი ფილტვები განიერათ გაეშალა. აქ იგი კი არ ჭკნება, კი არ იფუჭება, არამედ ძლიერათა და ღრმად აზროვნებს, გონების თვალებს ბუნების საიდუმლოებათა წიაღში მედგრათ ტყორცნის და მისი ალმაფრენაც ზეციურ ჰანგებს ამღერებს. რომ ეს ასეა: ამას უფრო გვიდასტურებს შემდეგი საუკუნეების თავგადასავალი.

მოხლვავდა ყიზილბაშობა, წალეკა ნატამალიც კი საბერძნეთის კულტურისა. ეს კულტურა განიავდა და გაქრა. ამით ქართველ კაცს შემოეძარცვა სასუნთქი ჰაერი, იგი მოექცა დაჭვარტლულსა და გამურულ ატმოსფერაში. იმის ფილტვები იშხამება. ამიტომ აქ ეს ატმოსფერა, ეს ზნეობრივი ტემპერატურა მის სიცოცხლეს ვნებს, არ ეგუება და ქართველი კაცის ნიჭიერებაც კნინდება, უძლურდება და ქართველი კაცი გადაგვარების გზას დაადგება. ამით აიხსნება, რომ მეთორმეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდე ქართველი კაცის ნიჭსა გონებასა და ალმაფრენას აღარაფერი ღირსშესანიშნავი წარმოუშვია, ის კი არა ის, რაც მოიმოქმედა წარმოშვა, მხოლოდ ამ ნიჭის უძლურებასა და სრულ დაჭკნობას მოწმობს. აი, ასეთი სასიკვდილო ატმოსფერა შექმნა ყიზილბაშობამ ქართველი კაცის სულიერი მადლისთვის ეს მადლი გაიძარცვა და მას სასუნთქი ატმოსფერა შემოეცალა, იმის მაცისკროვნებელი და მასაზრდოებელი ტემპერატურა. სიფვო მოისპო. ამით მტკიცდება, რომ სრულებით ერთი მეორის საწინააღმდეგო კულტურა იყო და არის საბერძნეთისა და სპარსეთ-სათათრეთის კულტურა. ჩვენი ერისთვის კი ეს უკანასკნელი კულტურა მომაკვდინებელი იყო. ეს რომ ასეა, ამას ცხადად ამტკიცებს ქართული ერის ტრაგედია. ქართველი კაცის სულიერი მადლი საოცარ მოვლენად ააშკარავებს, როცა იგი მადლი მოთავსებულია საბერძნეთის კულტურაში და ამავე დროს ეს სულიერი მადლი სრულებით ისპობა, ქრება და ჭკნება, როცა იგი მომწყვდეულია, სპარსეთ-სათათრეთის კულტურის ატმოსფერაში. აქ იგი ველარ სუნთქავს, მისი ფილტვები იჭვარტლება და იმისი სახეც ფერმკრთალობს დღე ნაკლულივით.

ამავე გარემოებას აშკარათ ადასტურებს ის ყოფა და მდგომარეობა, რომელშიაც ჩადგა და ახლაც არის ჩვენი ქვეყნის ის ნაწილები, რომელნიც კულტურითა და ნიჭიერების გამოაშკარავებით მეტობდა სხვა ყველა ნაწილებს ჩვენი ქვეყნისას, სანამ ეს ნაწილები არ იყო გატაცებული სპარსეთისა და სათათრეთის მიერ. მე მოგახსენებთ მესხეთისას, აჭარისას, ჭანეთისა და ქობულეთის შესახებ და საინგილოზე. ჩვენ ვიცით და ისტორია ჩვენი ერისაც ამას ფაქტებით ადასტურებს, რომ მესხეთი კულტურით ბევრათ მაღლათ იდგა საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით. აქ დაიბადენ, აღიზარდენ და მოქმედობდენ უნიჭიერესი ჩვენი მოღვაწენი სხვა და სხვა ასპარეზზე.

აქვე დღემდი დაცულია პირველ ხარისხოვანი ნაშთები ჩვენი წარსული ხელოვნებისა. მაგრამ გაიტაცა თუ არა ეს ნაწილები სპარსეთმა ან სათათრეთმა, მაშინვე ერთმაც და მეორემაც გაატიალა ქართველი კაცის შემოქმედება, ქართველი კაცი შეიქნა გაძარცვული სულიერი ნიჭიერებით და ეს ადგილებიც, განადგურდა და გადაგვარდა. მოისპო ისტორიული არსებობა აქაურ მცხოვრებთა. ამათ აღარც საქართველო და არც კაცობრიობა აინტერესებს. ესენი ჩავარდენ პირველ ყოფილ მდგომარეობაში. ამათი დანახვა დღეს შებრალებას თუ გამოიწვევს ხოლმე, ისიც ქართველ ადამიანში, თორემ გარეშენი მხოლოდ დაცინვით თუ მოიგონებენ მათ. სათათრეთში საქართველოს გატაცებული ადგილების მკვიდრთაგან ბევრი ქართველი საპასუხის-მგებელო ადგილზე განიმწესებოდა ხოლმე და იგი წარჩინებასაც კი ილებდა სულთანის საჭფლობელოში. მაგრამ არც ერთს ამათგანს სურვილიც კი არ აღძვრია, კავშირი ქონდათ არსებულ ქართველობასთან, ან სულიერი კავშირი დაეკავებია წარსული საუკუნეების ქართველობასთან და ამით თვისი მამულიშვილური გრძნობა გაეთფო, აღეგზნო და განემტკიცებია. ეს კი აშკარათ ადასტურებს: რომ ამათი სული, სათათრეთის კულტურით გატიალდა და იგი სული განადგურდა და გადაგვარდა. ამათ სათათრეთის კულტურამ სული ამოართვა, გრძნობა გაუყინა და ესენი უსულონი და უგულონი შეიქნენ მხოლოდ ტიკინებათ, ასეთი რამ კი რუსეთის გავლენას ჩვენს სულზე არ მოუხდენია. აი, ასე გადაგვარდა ეს ნიჭიერებათა და მაღალ ალმაფრენათა ადგილი. ამის უპირველესი და უმთავრესი მიზეზი მხოლოდ სათაორეთის კულტურის ის თვისებაა, რომელიც ყოლიფერს ადამიანურ მადლს ჰყინავს, ზრავს, დააკნინებს და გადააგვარებს ხოლმე. ჩვენი ერის ბუნებას კი სრულებით არ ეგუება ეს კულტურა.

ამის სრულებით საწინააღმდეგო ეფექტი მოახდინა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებში იმ გარემოებამ, რომ ქართველი ერი რუსეთს დაუახლოვდა და რუსეთის საშუალებით კვლავ ეზიარა საბერძნეთის ძირითად კულტურას და ამ კულტურის შედეგებს, რომელთ მიაღწიეს ევროპიელებმა.

კრიბა შაბათს ჟენევაში ვივიანის ვმჯდომარეობით, გადასცა დელეგა- ბს ორივე მხარეებს შორის საურთი- თო გარანტიებით უზრუნველყოფილ შეკრულების პროექტი. პროექტი მუშავებულია რობერტ სესილის მიერ. ხსენებები პროექტის შესახებ უნდა ადგინოს ყველა მთავრობებს არა ვიანეს 1 მაისისა.

### მემელი.

**ბორდო,** 12 თებერვ. დროებითმა მთა- ობამ მოკავშირეების „მთავრობებთან თანხმებით, დანიშნა ადგილობრივ ხოვრებლებიდან 5 მინისტრი, რომელ- ც მონაწილეობა არ მიუღიათ უკანა- ნელ აჯანყებაში. სისრულეში შედის მხედრო შეთანხმება მემელის მოსულ ლემენტების ევაკუაციის შესახებ.

### სრულიად ამერიკის კონფერენცია

**მოსკოვი.** 12 თებ. ამერიკამ უარყო რთა ლიგის მონაწილეობა სრულიად მერიკის მეხუთე კონფერენციაზე, გა- ცხადა რა, რომ კონფერენცია შეეხება ოლოდ და მხოლოდ ამერიკის საქმე- ბს.

### იტალიის პარლამენტში

**მოსკოვი.** 12 თებ. გაიხსნა იტალიის რლამენტი, რომელსაც იცავენ ფაშის- ები.

### ომუნისტების დაპატიმრება იტალიაში.

**მოსკოვი.** 12 თებ. მთელს იტალიაში რძელდება კომუნისტების დაპატიმრე- ა. მხოლოდ ერთ ასკორიის რაიონში აპატიმრებულია 300 კომუნისტი.

### ლიტვა და პოლონეთი

**მოსკოვი.** 12 თებ. ერთა ლიგის საბ- ო ემუქრება ლიტვას ლიგიდან გამო- იცხვით, თუ ის არ მოაწესრიგებს კო- ფლიქტს პოლონეთთან.

### ერთიანი ფრონტი

**მოსკოვი.** 12 თებ. სოციალისტური არტიის კონგრესმა ლილში, მოისმინა ა კომპარტიის წინადადება ერთიანი რონტის დაარსების შესახებ, გადასცა ს საკითხი განსახილველად კომისიას.

### იტალია და სამხრეთ სლავია

**მოსკოვი.** 12 თებერ. სამხრეთ სლავიის მთავრობა შეშინებულია იტალიის ამხედრო ტრანსპორტის ჰუნგრეთში აგზავნით, და აგრეთვე ახალი სამხედრო სესხით, რომელსაც მუსოლინი მოითხოვს.

---

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში სწარმოებდა შეჯიბრება სპარსეთსა და სათათრეთს შორის მცირე აზიაში ჰეგემონიის მოსაპოებლათა და გასამტკიცებლათ. ამ შეჯიბრებამ ეს ორი მეზობელი დაასუსტა და ჩვენს ქვეყანას მეთვრამეტე საუკუნეში საშუალება მიეცა მოქნილი პოლიტიკის ხმარებით ამათი ყიზილბაშური გავლენა დაესუსტებია და ამასთანავე გაეძლიერებია კავშირი და მისვლა-მოსვლა რუსეთთან. ეს გარემოება საკმაო შეიქნა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში კვლავ იფეთქა ქართველი კაცის ნიჭიერებამ და სულიერმა მადლმა.

მეთვრამეტე საუკუნეში მოქმედობდა მეცნიერი სჯულთ-მდებელი ვახტანგ მეექვსე და იმის სამეცნიერო კომისია, რომელმაც შეამოწმა და გამოსცა „ქართლის ცხოვრება“. მანვე შეამოწმა და გამოსცა „ვეფხის ტყაოსანი“. ამავე დროს მოღვაწეობდა დიდი ვახუშტი, რომლის საისტორიოსა და საგეოგრაფიო ნამოქმედარს დღეს გაოცებაში მოჰყავს ყოველი მიუდგომელი და პირუთნელი მკვლევარი. ამავე დროს მოღვაწეობს დ. გურამიშვილი, რომელმაც უშუალოთ განიცადა რუსეთის გავლენა და რომლის ლექსები თვისი მდაბიური და ხალხოსნური გამოთქმითა და გამოქანდაკებით იმ დროისთვის საკვირველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ამავე დროს მოღვაწეობდა დიდი მეცნიერი საბა სულხან ორბელიანი, რომლის ლექსიკონი ნამდვილი სამეცნიერო შრომაა. ამავე ხანაში ილვწოდა დიდი პოლიტიკური მოღვაწე ირაკლი მეორე. მეთვრამეტე საუკუნეში გაიხსნა შკოლები და მჭერმეტყველი მქადაგებელნი და მთარგმნელები გამოჩნდენ. აი ასე ერთბაშათ ამოქმედდა ქართველი ერის ნიჭი და შემოქმედება, განიცადა რა რუსეთთან დაახლოვებითა და მისვლა-მოსვლით საბერძნეთის ძირითადი კულტურის გავლენა, მოხვდა რა მას ამ კულტურის მაცისკროვნებელი სხივები. ამ გარემოებამ აღადგინა გაწყვეტილი ჯაჭვი ჩვენი ეროვნული სულისა მეთერთმეტე საუკუნესთან შემაერთებელი და ეს კავშირი ცხადათ განახლდა და გაძლიერდა.

(დასასრული იქნება)

**ი. ფანცხავა.**

# რუსეთი

### ტრანსპორტის ძირითადი ამოცანები.

**მოსკოვი.** 11 თებრვ. დზერაგინსკიმ, რომელიც გამოვიდა რკინისგზელთა ცეკას პლენუმზე, განაცხადა, რომ ტრანსპორტის ძირითად მიზანს შეადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება და სერიოზული ბრძოლა სათბობის უთავბოლოდ ხარჯვის წინააღმდეგ. პირველის მიღწევა შეიძლება შტატების შემდეგი შემცირებით და იმ პირთა დათხოვნით, რომელნიც შემოიპარენ რკინის გზაში რკინისგზელების სამუშაო ხელფასის გადიდების შემდეგ მეორეს მიღწევა კი— რკინისგზელთა და მათი ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის საშუალებით თუნდაც მინიმალური მოთხოვნილების ფარგლებში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანას ჩვენ ახლო მომავალში შევასრულებთ.

### იჯარა.

**ტაშკენტი,** 9 თებერვ. ტაშკენტის კომუნალურმა განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო რკინის გზის სამმართველოს რწმუნებულთან ყოფილი პერვუშინის მიწების იჯარით გაცემის შესახებ.

### სათესი მარცვალი.

**ტაშკენტი,** 9 თებერვ. უკრაინის გლეხები დიდ ინიციატივას იჩენენ სათესლე მარცვლის დამზადების საქმეში.

### დახმარება უმუშევართათვის

**მოსკოვი,** 10 თებ. სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრალ საბჭოს სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტმა პროფკავშირების საშუალებით ნებაყოფლობით შემოწირულება 550,000 მან. შეკრიბა. ამ თანხის 50 პრ. დახარჯულია პროფკავშირების უმუშევარ წევრთა დასახმარებლად.

### ნანსენის კომისია.

**მოსკოვი,** 10 თებერვ. ნანსენის კომისიამ გამოსცა 5,600 სასურსათო ამანათი რკინისგზელთა და მეზღვაურთა სასარგებლოდ.

# ახალი ამბები

— **გადასახადის მიღების შეწყვეტა.** სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიამ დაადგინა. 10 თებერვლიდან შესწყდეს რაიონებში გადასახადის მიღება ყველა გადასახადის ამკრეფი გაგზავნილ იქმნან კონტროლიორებად. მათ ჩამოერთვათ შტამპები და მიეცეს ხელში მხოლოდ მარკები იმ მოქალაქეებზე გასასყიდათ, რომელთაც არ შემოუტანიათ გადასახადი. სახლის პატრონებს დაევალოს მოწმობები მარკებით წარადგინონ სამისამართო მაგიდაში შესამოწმებლად. აღნიშნულ საქმისათვის კონტროლიორებს მიეცემად გაყიდულ მარკებიდან შემოსული ფულის 10-პროც სამისამართო მაგიდის თანამშრომელთ კი გადასახადის და განთავისუფლებულთა მოწმობების მიცემისათვის ხუთი პროცენტი.

— **სამოქალაქო გადასახადი.** სამოქალაქო გადასახადის გამტარებელმა კომისიამ წინადადება მისცა სამისამართო მაგიდას, სასწრაფოდ მოთხოვონ სახლის პატრონებს, გამგეებს, კომენდანტებს და სახლების მოიჯარადრეებს მალე წარმოუდგინონ ცნობები იმ მცხოვრებლებზე, რომელთაც არ გადაუხდიათ სამოქალაქო გადასახადი. იმ ხახლის პატრონებს, კომენდენტებს, გამგეებს და მოიჯარადრეებს, რომელნიც თავის დროზე არ წარმოადგენენ ამ ცნობებს, მიეცემიან, თანახმად სავალდებულო დადგენილებისა პასუხის გებაში, ე. ი. გადაახდევინებენ ჯარიმას 100 მან. ოქროთი და დაენიშნებათ სისხლის სამართლის გამოძიება.

— **კონკურსი მუსლიმანურ სკოლების პროექტისათვის.** ალმასკომის მიერ დამტკიცდა და მალე გამოქვეყნებული იქნება, მუსლიმანურ სკოლებისათვის ასაგებ შენობის კონკურის პროექტი, საალმშენებლო კომიტეტის ხარჯზე.

— **სასკოლო გადასახადის გატარება.** ვინაიდან ჯერ არ მოსრულებულა სამოქალაქო გადასახადი, სახალხო კომისართა საბჭოს ეთხოვა ალმასკომის პრეზიდიუმის მიერ, რათა სასკოლო გადასახადის აკრეფა დაწყებულ იქნას 1-ლ მარტიდან და გაგრძელდეს არა ნაკლებ ერთი თვისა. საფინანსო კოლეგიას, პროფესიონალურ კავშირის საბჭოსთან და განათლების გაყოფილებასთან ერთად გადასინჯოს დეკრეტი და შეადგინოს შესატანი ცვლილებათა პროექტი.

— **საიჯარო გადასახადის გადიდება.** დამტკიცდა კომუნალურ კოლეგიის დადგენილება ქალაქის ბაღების და ბოსტნების 1923 წლის საიჯარო გადასახადის 15 პროც. გადიდების შესახებ—1922 წელთან შედარებით.

— **სისუფთავე ქალაქის ქუჩებში.** დამტკიცდა და მალე გამოქვეყნდება, სავალდებულო დადგენილება ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე სისუფთავის დაცვის შესახებ.

— **მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა ქალაქის ფარგლებში.** ალმასკომის მცირე პრეზიდიუმის მიერ დამტკიცდა კომუნალური კოლეგიის დადგენილება, შესახებ ქალაქის ფარგლებში მდებარე ბაღებისა და თავისუფალ მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვისა. იუსტიციის სახალხო კომისარიატს ეთხოვა, აუკრძალოს სახალხო ნოტარიუსებს ბაღების და მიწების ყიდვა-გაყიდვის საბუთების დამოწმება, თანახმად დეკრეტისა № 17.

# განათლების მუშაკთა მე-2 ყრილობა

### მე-4 სხდომა.

მოხსენებას აკეთებს სახალხო განათლების კომისარი ამხანაგი **დ. კანდელაკი.**

(რადგანაც ეს მოხსენება, მცირეოდენის განსხვავებით, წაკითხულ იქნა საქართველოს ცაკის სესიაზე და იგი უკვე დაიბეჭდა გაზეთებში, აქ აღარ მოგვყავს. რედ.)

ამხ. კანდელაკის მოხსენების შემდეგ, ყრილობის დელეგატები მიდიან სახელმწიფო ოპერის თეატრში „დუბროვსკის“ სანახავად.

**მე-5 სხდომა.** თებერვლის 8.

თავმჯდომარეობს ამხ. **შახ-ნაზაროვი.**

შედის შეკითხვები განათლების კომისრის მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ. შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ იხსნება კამათი.

პროფ **ახვლედიანი.** მიუდგომლად არჩევს კომისარის მიერ წაკითხული მოხსენების ზოგიერთ მომენტებს და აღნიშნავს, რომ არ არის მართალი, თითქოს უნივერსიტეტი იყოს კონსერვატიული დაწესებულება. ჩვენ, ამბობს იგი, წმინდა მეცნიერულ მუშაობას ვეწევით და ძალიან შორს ვართ პოლიტიკური მუშაობისაგან. ეს უკანასკნელი არ შეადგენს ჩვენი უნივერსიტეტის პირდაპირ მიზანს, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლა და პროფესურა უაღრესადაა გატაცებული ხალასი მეცნიერული მუშაობით ამას გვიმტკიცებს თუნდაც ის მრავალი გამოკვლევანი და მოღვაწენი სხვა და სხვა დარგებში, რომელიც დიდი მეცნიერული ღირებულების არიან. ასეთივე მუშაობის შედეგს უნდა მიეწეროს რუსეთიდან საქართველოს სიძველეთა დაბრუნების საქმეც და სხვა.

**მამალაძე.** სასურველად მიმაჩნია პროვინციაში შემოღებულ იქნან საყოველთაო სავალდებულო სწვლა. საჭიროა მეტი ყურადღება ექცეოდეს წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს. ცენტრთან დაცილებულ პერიფერიათა შორის არის შიგნით კახეთიც, ეს კუთხე ძალიან ჩამორჩენილია კულტურულად და განათლების კომისარიატმა უნდა მიიღოს შესაფერისი ზომები. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა ეკონომიური უზრუნველყოფის საქმეს. მათ უნდა დარჩეს მიწები ნორმამდის ჩამოურთმევლად.

დუშეთის წარმომადგენელი—მოითხოვს რათა დუშეთში მაინც გაიხსნას მეორე საფეხურის სასწავლებელი.

**ცერცვაძე**—აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს გ. კომისრის მოხსენებებიდან.

**კანდელაკი**—მე მოკლედ ვუპასუხებ ყველა ოპონენტებს ვინაიდან მარიამ ორახელაშვილმა ყველას უპასუხა. მე ვილაპარაკებ მასწავლებელთა ნაკლებობაზე პროვინციაში, რომელიც გამომრჩა მოხსენებაში. თუ ტფილისში მრავალი უმუშევარია—პროვინციაში მასწავლებელთა დიდი ნაკლებობაა. პროვინციაში არავის არ სურს დარჩენა და ყველა აქეთ მოილტვის. მე მოვიარე პროვინცია, სადაც ვნახე რომ პროვინციელი ამხანაგები შედარებით კარგად უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ ცენტრიდან კი არ მიდიან იქ, არამედ წინაუკომ ხდება. ამას საბოტაჟის სუნი უდის. ამის გამო ჩვენ მოველაპარაკეთ კავშირს, და დავადგინეთ, რამდენადაც შეიძლება მოვახდინოთ მასწავ. მობილიზაცია პროვინციაში გასაგზავნად. ეს არის აუცილებლად მისაღებნი ზომა.

რაც შეეხება მასწავლებელთა მომზადების საქმეს, ამაზე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ვღებულობთ ზომებს პედაგოგიურ-ტეხნიკუმების გაძლიერებისათვის და ახალი მსგავსი სასწავლებლების გახსნისათვის. ჩვენი უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტი მხოლოდ წლევანდლიდან უშვებს უმაღლეს ცოდნით აღჭურვილ მასწავლებლებს ამას გარდა ჩვენ გვსურს გავხსნათ პედ. მოსამზადებელი კურსები და ვსცდილობთ სახელმწიფო გამომცემლობის საშუალებით გამოვცეთ შესაფერისი ლიტერატურა.

რაც შეეხება უმაღლეს სკოლას უნდა ითქვას, რომ აქ ჯერ კიდევ სუფევს კონსერვატორული სულისკვეთება.—უპასუხებს რა პროფ. ახვლედიანს ის აღნიშნავს, რომ ახალი პოლიტიკური იდეები ისე, როგორც ეს ემჩნევა ტეხნიკუმებს, არ შედის უნივერსიტეტში. მასწ. ეკონომიური მდგომარეობაზე, რომელიც ესოდენ საინტერესოა თქვენთვის, ჩვენ გავეცით შესაფერისი პასუხი და აღვნიშნეთ, რომ ამ მხრივ მიღწეულია მაქსიმუმი შესაძლეობათა.

კრება გადადის მორიგ საკითხზე.

„კავშირის უახლოესი მიზნები“ მომხსენებელი **შავერდოვა.**

— ახალი ეკ. პოლტიკის გამო. ახალი ამოცანები იშლება ჩვენ წინაშე—ამ მხრივ ჩვენ ვსცდილობთ კავშირი დავაყენოთ საწარმოო ნიადაგზე. ახალი ამოცანები. რომელსაც ჩვენ უყენებთ ახალ გამგეობას, ყველანი გამომდინარეობენ წარსული მოქმედებიდან. ჩვენ ახლობელ მიზნებს შეადგენს: კავშირის ორგანიზაციის გაძლიერება—მტკიცე ურთიერთობის დამყარება რუსეთის განათ. მუშაკთა კავშირთან, კავშირის „იაჩეიკები“-ს გაჯანსაღება; უნდა მივიღოთ სავალდებულოდ რომ კავშირმა ყოველ დროში გზავნოს ხოლმე თავის წარმომადგენლები პროვინციაში ადგილობრივ ცხოვრების შესასწავლად, უნდა აღირიცხოს პროფ. მომუშავეთა კადრი პასუხისმგებელი ამხანაგები უნდა განთავისუფლებულნი იქნან ყოველგვარი სხვა მოვალეობისაგან, საჭიროა დამყარებულ იქნას პროფესიონალური დისციპლინა.

— უნდა შეიქნეს აგრეთვე ერთი სექცია კავშირთან იმ სტუდენტობისა, რომელნიც კურსის დამთავრების შემდეგ აპირებენ მუშაობას განათლების ფრონტზე.

ყოველგვარი ხარჯთ-აღრიცხვა უნდა ხდებოდეს სმეტის სასტიკი დაცვით. შემოღებული უნდა იყოს ინდივიდუალური წევრობა, რაც თავის თავად მოითხოვს ინდივიდუალურ საწევრო გადასახადს, ეს აუცილებლად უნდა იქნას გატარებული. კავშირმა უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც ბიუჯეტის, ისე ყოველგვარი ხარჯთაღრიცხვის ჩატარებაში, კომისარიატთან და განათ. განყოფილებებთან, მთავარ ამოცანად კავშირი ისახავს გენერალური კოლექტიური ხელშეკრულების დადებას განათ. ყველა მუშაკებისათვის. შრომის ჯილდო, ტეხნიკური პერსონალისათვის, უნდა გადიდებულ იქნეს შესაფერისად. საჭიროა საკონფლიქტო და შემფასებელი კომისის შედგენა.

ამასთანავე ერთად კავშირმა უნდა გააუმჯობესოს კავშირის ურთიერთ დამხმარე კასის ყოფა. შრომის დაცვის საქმე უნდა დამყარდეს უკეთეს ნიადაგზე. საჭირო არის უმუშევარი წევრების ჩარევა პროფ. მუშაობაში—ახალგაზრდა [illegible] მასწავლებელთათვის უნდა მოინდოს პრაქტიკული [illegible] საჭიროების დროს შესაძლებელი [illegible] მათი გაგზავნა [illegible]. სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული ზომები რათა მოისპოს წერაკითხვის უცოდინარობა ტეხნიკურ მომუშავეთა შორის.

აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ეძლევა პროფ. ორგანოს, ჟურნალის, გამოცემის საკითხს, რაც სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი ძალიან საჩქაროდ.

მოხსენების შემდეგ კრება იხურება.

### მე-6 სხდომა.

თავმჯდომარეობს **შ. გეგენავა.** სოციალური აღზრდის შესახებ მოხსენებას აკეთებს **მარიამ ორახელაშვილი,** რომელიც სოც. აღზ. თეორიული პრინციპების გარკვევის შემდეგ ამბობს:

სკოლის ნაციონალიზაცია ჩვენში წინასწარ მოუმზადებლად მოხდა—მაგ. არ იყო სრულიად შექმნილი საბავშო ლიტერატურა. მეცნიერული ტერმინოლოგია და სხვ. მთავარი მიზანი სოციალური აღზრდისა უნდა იყოს, ამ საბავშო ლიტერატურის შექმნა.

შრომის სკოლის ფუნდამენტალური შენება შესაძლებელია მხოლოდ საბავშო ბაღების და სახლების რაციონალურად მოწყობით. ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ასეთი დაწესებულების გამრავლებას. იმ დროს როცა ჩვენ ქალაქში 90 შრ. სკოლაა, იმ დროს აქ სულ 18 საბ. ბაღია. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, როდესაც აღვნიშნეთ შკოლის ასაკამდე აღზრდის საღ ნიადაგზე დაყენება და საამისოდ მაქსიმუმ შესაძლებლობათა ამოწურვა.

ამას გარდა მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ სულიერად ავადმყოფი ბავშების აღზრდას. მართალია აქამდე არსებობდა დეფექტიანი ბავშების სკოლები, მაგრამ ამას ქონდა კერძო ხასიათი. ეხლა კი ეს უნდა გახდეს სახელმწიფოს ზრუნვის მთავარ საქმედ.

სკოლის დაყრდნობა ეკონომიურ შრომის პრინციპზე არის უპირველესი ამოცანა სოციალური აღზრდისა.

ამას გარდა აუცილებლად საჭიროა შკოლის გარეშე განათლებისათვის ზრუნვა როგორცა მაგ. საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობანი.

შრომის სკოლის მუშაობის თვალსაჩინოებისათვის ჩვენ გავხსენით სანიმუშო სკოლები. ეს სკოლები არ არის იდეალურად მოწყობილი—მხოლოდ ცოტა თუ ბევრად უფრო უზრუნველყოფილი არიან და მასწავლებელთა კადრიც ჩვეულებრივია. თქვენ ნუ გაშინებთ ის გარემოება, რომ ასეთ სკოლებში არიან სახელოსნოები და მსგავსების გახსნა არ შეუძლია მრავალ სხვა სკოლებს. არა. საჭირო არის იდეურ-პრინციპიალური მომზადება მასწავლებლებისა და შემდეგ შეძლებისდაგვარად ეცადონ ამ შრ. პროცესების ცხოვრებაში გატარებას.

ამის შემდეგ სხდომა ისმენს ქ-ნ **კარამინოვას** მოხსენებას; საგნების შეერთების ცდა, შკოლის ერთ-ერთ ჯგუფში.

(ეს მოხსენება დაბეჭდილია ცალკე წიგნაკად, ამიტომ მისი მოკლე შინაარსი არ მოგვყავს. რედ.).

კრების დასასრულს მოსმენილ იქნა მასწ. გეკერის მიერ წაკითხული თემა: შრომის სკოლის პრინციპების გავლა მარქსისტული თვალსაზრისით. რის შემდეგაც რეგლამენტის ძალით სხდომა იხურება.

# ხელოვნება

### ქართული დრამა.

### „ოტელო“

გენიოს მსახიობის, მოჩალოვის ყურება —ბელინსკის, მიტომ არ ბეზრდებოდა, რომ მოჩალოვის დიდებული შემოქმედება ერთ და იმავე როლში იყო მრავალმხრივი და მუდამ დაუშრეტელ წყაროსავით მსახიობი ჰქმნიდა ცეცხლის წუთებს და სულ ახალ-ახალ ნაკვთებს. ბელინსკი როდესაც მიდიოდა მოჩალოვის საყურებლად ჰამლეტის როლში, შეიძლება მეორმოცეჯერ, იგი დარწმუნებული იყო, რომ მოჩალოვის ჰამლეტი გუშინდელ ჰამლეტს არ ევგანებოდა და დღეს სულ ახალი სახით წარსდგებოდა მსახიობი, სულ სხვა საიდუმლოებას ახდიდა ფარდას.

შექსპირს სრულიადაც არა აქვს ისეთი უბრალო რემარკაც კი, არამც თუ პათეთიურ მონოლოგებში, არამედ თვით უბრალო დიალოგში, რომ არ თხოულობდეს მუდამ ახალ კვანძის გახსნას და ახალ ნიუანსების დაწყებას. მე უამისოდ შექსპირის შემოქმედება ვერ წარმომიდგენია. შექსპირის დრამები ყოველთვის ფანტასტიურია. აქ იშლება პოეტის მთელი პოტენცია და მსოფლმხედველობა. და მისი მსოფლიო მნიშვნელობაც აქ არის.

სწორედ ასეთი ინსტიქტიური განჭვრეტით მიუდა შექსპირს მოჩალოვი.

ჩვენ სცენაზედ შექსპირის განსახიერება ძალიან გვიძნელდება.

უპირველესი ჩვენი ნაკლი—მოუმზადებლობაა და შექსპირს ისე ვექცევით, თითქოს თანამედროვე ჰლექ გაჩენილი დრამატურგი იყოს.

შექსპირი არის დიდი ბუნება. მაგარი და ძლიერი. და თუ მასთან დიდი პოტენციით დიდი იარაღებით შეჭურვილი არ მიხვედი სასტიკად დაგამარცხებს. და დამარცხებულნი ვართ მუდამ ჩვენ. რამდენიმე რეპეტიციით გვინდა ვითამაშოთ ან „ოტელო“ ან „ჰამლეტი“, მაშინ როდესაც ამ ტრაგედიებს თვეობით კი არა წლობით არის საჭირო სამზადისი.

გასულ კვირას წარმოდგენილი შექსპირის „ოტელო“ ჩვეულებრივი ნაკლით იყო აღსანიშნავი. როლების უცოდინარობა და ამის გამო ენის ხშირი ბორძიკი—ვანო მაჩაბლის ენას ხდიდა შეუძლებელ მოსასმენად. აქ უნდა იყოს დაცული ენის დიდი სიფაქიზე. და ის მოჩუქურთმული სიტყვები, მოზაიკასავით, რომ არის ასხმული ტრაგედიაში ჩვენი მსახიობის დეკლამაციაში სრულიად იკარგებოდა.

გადაჭრით უნდა ვთქვა, რომ ამ საღამოს ალ. იმედაშვილის (ოტელო) და აკ. ვასაძის (იაგო) გარდა ყველანი მეტად მოისუსტებდნენ.

მე შევჩერდები ალ. იმედაშვილის და აკ. ვასაძის როლების განსახიერებაზე. როგორც უფრო მთავარ როლების შემსრულებლებზე, რომელნიც ტრაგედიის ნამდვილ ფუძეს წარმოადგენენ.

მე განგებ მოვიყვანე მოჩალოვის მაგალითები, რომ მეჩვენებინა შექსპირის რომელიმე როლის თამაში არ შეიძლება ერთ და იმავე დაკანონებულ ტრადიციებზე. ალ. იმედაშვილი როგორც ნაჭიერი, დაკვირებული და გონიერი მსახიობი კარგა თამაშობს ოტელოს როლს. მსახიობს ოტელო ხშირად უთამაშნია და იგი რამდენჯერმე მინახავს და არც ერთ წარმოდგენაში ალ. იმედაშვილისთვის არ შემიმჩნევია ახალი შტრიხი და ახალი ნიუანსები. როგორიც იყო პირველ შესრულების დროს მსახიობი ეხლაც ისეთივეა. არც დაჰკლებია და არც მოჰმატებია მას რამე. სწორსწორობა არ დაარღვია. მაგრამ ამ სწორსწორობაზე არ შესძლებია არც ერთ დიდ მსახიობს გაჩერება, მიტომ რომ შექსპირის ამოცანა ყოველთვის ძნელი ყოფილა და ამ ამოცანას გარშემო მიმართული იყო ყოველთვის მუდმივი ძიება ყოველ ხელოვანის. ეს ძიება არა აქვს ალ. იმედაშვილს და ესტეტიურ თვალსაზრისით მისი ოტელო ბევრ ადგილებში საკმაოდ მოისუსტებს.

უპირველესი ნაკლი შეიძლება აღინიშნოს ტეხნიკური გამართვის სისუსტე. პლასტიურობა სიტყვის რიტმიული სიცხარე და ქართულ ენის კეთილშობილება, აკუსტიკურ სიმდიდრეს გაშლა—აკლია ალ. იმედაშვილს. ამას ზედ ერთვის მსახიობის შეუფერებელი ტანისამოსი, რომელიც უსათუოდ ძველ სკოლის ტრაქტიკის ეკუთვნის. ვენეციური ტანისამოსი, რომელსაც იცვამს ალ. იმედაშვილი, ჩემის აზრით, უნდა უარჰყოფილ იქმნას. ოტელო მავრია და უნდა გამოწყობილ იყოს მავრიტანულ ტანისამოსში. კარგ დახასიათებას იძლევა ოტელოს ტანისამოსზე ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი—მკვლევარი ვეჩელიო. ვეჩელიოს აზრითოტელოსაც ისეთივე ფორმით უნდა ეცვას როგორც ისგოს ან კასიოს, მხოლოდ სტილი უნდა იყოს მავრიტანული. ასეთ ტანისამოს სხვათა შორის იცვავდა ტრაგიკი რობერტ ადელჰეიმი და ძალიან მოხდენილიც იყო.

რაც შეეხება გრიმს, ალ. იმედაშვილი აქ სწორედ უდგება ედმონდკინს შეცდომად მიაჩნდა ოტელო შავ არაბად გამოყვანა და იგი იკეთებდა წაბლის ფერ სახეს. დანარჩენი ტრაგიკოსები: ბეტერონი, კვინი, მასონი, კემბელი—ოტელოს თამაშობდნენ შავი სახით. ალ. იმედაშვილის გრიმი მოსაწონია. მას შავი შეერთებული აქვს ნაცრისფერთან და ეს უფრო სახეს ჰხდის ბუნებრივს და სცენიდან ნათელს.

რაც შეეხება შინაგან განცდას მსახიობს—ალ. იმედაშვილი ამ საღამოს მეტად გულგრილი გვეჩვენა. ვერ შევნიშნეთ ის დიდი ტემპერამენტი, რომლითაც წინად ოტელოს შესრულების დროს გვაკვირვებდა. პირველ მოქმედების დიდი გონოლოგა, ოტელო რომ მოუთხრობს თავის თავგადასავალს ილ. იმედაშვილს აკლდა ექსტაზი და ემოციონალური განცდა, მესამე მოქმედების დიდებული გამომშვიდება, სადაც დიდი გონებით ემშვიდებება ოტელო თავის საომარ იარაღს, დაფ-დაფების ხმას და ცხენის ჭიხვინს—მსახიობმა არავითარი შთაბეჭდილება არ დასტოვა მაყურებლებზე. მონოლოგი ალ. იმედაშვილმა დაიწყო მეტად ფაბალი ტონით და შემდეგ არც ერთ რეგისტრში არ განუვითარებია და დაამთავრა ერთფეროვნად.

ეს დიდად სცენიური მონოლოგი კი სულ სხვას მოითხოვს. ჩემის აზრით მსახიობს უნდა დაეწყო ეს როლი უსათუოდ დაბალ ტონად და შემდეგ შედიუმიდან გადასულიყო მაღალ რეგისტრაში. აქ საჭირო იყო მაღალ წერტილზე ასვლა ისე ვით სპირალზე. ტრაგედიის განვითარებისთანავე და ზრდასთან იზრდება და ვათარდება ოტელოს ტრაგიული განცდა. უკვე იჭვით ავსილი ოტელო მოგვაგონებს იმ აფრიკანელ ფეფხვს რომელიც დაუჭრიათ და სიმწვავისაგან კლდეს და ღრეს ეხეთქებოდა. აქ საჭირო რასიული მიდგომა და აქვე უნდა მოხდეს ამ ვეფხვის გინძძვინვარების დაწყნარება წმინდა მეთოდიურ ხმებთან—დეზდემონას ტრფიალობის წინაშე. დიდებულია შექსპირი თავისი კონტრასტებით და გენიალურ უკიდურესობით და როგორც დიდებული ხელოვანმა არ იცის „საშუალო“. მეოთხე და მეხუთე მოქმედების სცენებში ალ. იმედაშვილს აკლდა შექსპირის გმირის გაკეთილშობილება დიდებულ ტანჯვისაგან. ჩაიყლაპა ეს მოთქმაც: „აი მიზეზი სულო ჩემო, აი მიზეზი“. აქ არ იყო პრომეთეს ცეცხლით წვა. და ფინალის მონოლოგშიაც ვერ შევნიშნეთ: „სიყვარული ჭეშმარიტი—თუმცა არა ბრძნული“,

მე აღვნიშნე ეს ნაკლი მიტომ რომ იმედაშვილს აქვს შესაძლებლობა გაისწოროს თავის სცენიურ შემოქმედების ყოველი ნაკლი.

პირველად გამოვიდა იაგოს პასუხსაგებ როლში ახალგაზდა მსახიობი ავ. ვასაძე. პირველ გამოსვლისთანავე მსახიობი მოგვეწონა. გარეგნობით ჰგავდა ჩარლზ კინის სახეს. ჰქონდა კარგი შტრიხები, მაგრამ შემდეგში ეს შტრიხები ვერ განავითარა ავ. ვასაძემ და ჩვეულებრივ შაბლონიურ მეთოდით მიუდგა ამ ტიპს. იაგო ბუნებით უსათუოდ არის სანგვინიური ნატურა. მაგრამ აქ საფრთხეა ერთი. მსახიობს არ უნდა დაავიწყდეს, რომ იაგო ხშირად თავს იკატუნებს რასაც ლაპარაკობს თვითვე არ სჯერა და თავის უბრალო ეგოიზმის და შურის საძიებლად მიჰმართავს ისეთ ეშმაკურ ხრიკებს რომ გგონია იყოს დახელოვნებული არტისტი და ყველაფერს სჩადიოდეს თითქო თავის-თავის გასართობად. აი, აქ არის საჭირო მსახიობის დიდი არტისტულობა რომ მარცხი თავიდან აიშოროს. აკ. ვასაძეს აკლდა ჯერ-ჯერობით სწორედ ეს არტისტულობა და მან თუ იმუშავა ამ როლზე, იგი კარგი იაგო იქნება ქართულ სცენაზე.

დანარჩენი მსახიობები, როგორც ზევითა ვსთქვი, აღსანიშნავი არიან როლების უცოდინარობით, მაშინ როდესაც შექსპირი ხშირად უნდა ითამაშო უსუფლიოროდ,

ვახტანგ გარრიკი.

## რუსთაველის თეატრი.

### „მზის დაბნელება საქართველოში“.

ჩემის ფიქრით, ვინც წაიკითხავს ამ რეცენზიას, ანტონოვის პიესაზე—„მზის დაბნელება საქართველოში“—იტყვის: „განა ღირს-კი რეცენზიის დაწერა ამ უმნიშვნელო და დრო მოჭმულ კომედიაზე, განა ღირს კი სერიოზული საგაზეთო მასალათ ამ კომედიის რეცენზია?“ ხოლო მე-კი შევნიშნავდი „დიაღაც, რომ ღირს!“ ვინაიდან ეს მთელი ეპოქაა, მართალია ჩვენზე ძლიერი დაშორებული, მაგრამ ეპოქა მშობლიური და მახლობელი. ბევრი ძლიერ ბევრი რამ არის შიგ ტფილისელ მოქალაქეთათვის, რომელთაც ძლიერ უყვარს თავისი ქალაქის მშობლიური ჭერი. ეს ხომ ძველი ტფილისია, თავისი პრიმიტიულ პატრიარქალურ მოწყობილობით. ტფილისი, სადაც მშვიდათ და ნებივრად განისვენებენ, როგორც მოქალაქე „გეურქა“ ისე ქართველი თავადი, ვაჭარი, ხელოსანი და „სიმონიკა ბიჭი“. ეს ხომ ის ტფილისია, სადაც ყველა ასე თბილად მოწყობილად გრძნობდა თავს, სამხრეთის მწველ მზის სხივების ქვეშ, მტრედის ფერი ცის შემყურე ტფილისის მწვანე ქოჩრიან ბაღებ შორის. ეს ხომ ის ნეტარხსენებული ეპოქაა, როდესაც მოქალაქეს არ აწვალებდა—ეხლანდელი სიცოცხლის მტანჯველი პრობლემები და ძიებანი, რომელთაც არ იცი საიდან მიუდგე ან როგორ გადასჭრა. ეს ის ტფილისია, რომლის გულუბრყვილო მოქალაქენი, ესოდენ უბრალო მეზობლური სიყვარულით ათბობდენ ერთმანეთს და რომელთა სიტყვები „ძმაო“, „ახპერჯან“—„ამხანაგო“ არ იყვნენ ეპოქის უბრალო და უხასიათო სინონიმები, პოლიტიკური სარჩულის მონაბერი, არამედ თან ატარებდა უაღრეს აზრს ძმობისა და სიყვარულისა, ნამდვილი მოქალაქის უფლებიანობის დაცვით.

ჩემის ფიქრით, მსმენელი კეთილის ღიმილით გადახედავს ყველა ამ გეურქებს და სიმონიკებს, შორეული წარსულის ტკბილი მოგონებით მოისმენენ იმ სენტენციებს, ისე როგორც შესცქერიან კეთილ და საყვარელ მოხუცებს, როგორც უცქერიან ბავშის ცელქობას მხოლოდ ასე შეიძლება უცქირო და მოისმინო ანტონოვის კომედია. ვინაიდან ის ასე დაცილებულია ჩვენ თანამედროვე შეხედულებათა და ინტერესებიდან. მომქმედი პირები—არა თუ უცხონი, პირდაპირ სასაცილონი არიან და რასაკვირველია მათი დარდი და მათი სიხარული ცოტას მიეკარება თანამედროვე თეატრის აუდიტორიას.

გაკვირვებასა და აღფრთოვანებას იწვევს მხატვრული სინამდვილე და ფართე ერუდიცია, რომელიც ასე გამოსჭვივის მარჯანიშვილის დადგმაში.

მხატვრულ დადგმის მხარით ბ. მარჯანიშვილს მე ვიცნობდი დიდი ხანია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს ნიჭიერი ხელოვანი—რეჟისორი სწრაფი ნაბიჯით მიიმართებოდა და იპყრობდა დიდი რუსეთის სატახტო თეატრებს, მაგრამ ის რაც მე ვნახე მის მიერ ანტონოვის კომედიის დადგმის დროს, რუსთაველის თეატრში მან გადააჭარბა ყოველგვარ ჩემს მოლოდინს. არ არის თეატრი, არა სჩანს სცენა, არ არიან აქტიორები, აქ თვით სიცოცხლეა, აქ ბრბოა მზიური სიცოცხლის ხმაურით სავსე, და ამისათვის ექსპანსიური.

პირდაპირ გიკვირს, საიდან შეეძლო „მარჯანოვს“ სცოდნოდა ეს დეტალი ძველ ტფილისის მოწყობილობისა, გასულ საუკუნის ორმოცდაათიან წლებისა. რომ წაართვათ პიესას, თავისი სიცოცხლე და მოწყობილობა დარჩება მოხწყენი, გულუბრიყვო რამ, და ცხადია მხოლოდ მარჯანიშვილის დადგმამ შესძლო აეყვანა ატონოვის კომედია იმ ინტერესისა და საერთო მიმზიდველობის სიმაღლეზე, რომ ამ სეზონში გაჭედილია და მუდამ სავსე იქნება თეატრის დარბაზი—მისი დადგმის დროს.

მართლაც, როგორც—კი აიწევს ფარდა, მაყურებელი გაკვირვებული სახტათ რჩება და ეკითხება თავის თავს,—სად არის ის,—თეატრში, თუ „მოედანზე“—ტფილისის ძველ ნაწილში, როგორ გინდა, რომ, მსახიობებმა ცოტათი შეაგვინონ თავიანთი თამაში, თუნდაც რამოდენიმე წუთით, რომ დასტკბე ამ დიდებულ მხატვრულ სურათის ცქერით მისი სიცოცხლის დუღილის მოსმენით. აი მოხუცი **ნენე** ნიჭიერი მსახიობი **ჩერქეზიშვილის ქალი**. რა საუცხოვო და ნამდვილი გრიმი და ტანთსაცმელი, რა სიახლოვეა მოცემულ ეპოქასთან! ეს სათვალები რქიანი მავთულით, ლეჩაქი და საქვრივო თავსაფარი, აფუნგული, გაგულისებით ბუტბუტი თავის შვილისშვილზე და დაბოლოს რძალ-დედამთილის ხელ-ჩართული ბრძოლა... როგორ ზედ-გამოჭრილია ეს დახასიათება იმ დროინდელ პირობებთან და გარშემო მოწყობილობასთან.

ეს ძველ-მაგარი, ეშმაკი რძალი, ქ-ნი ჯავახიშვილი და ეს ახალგაზრდა „ნასწავლი ქალი“—ოფიცერთან მოარშიყე ეს გაიძვერა, მოქალაქე, ვაჭარი—გეურქა, პატრიარქალური მამა ოჯახისა, რომელსაც თავი წარმოდგენილი აქვს „ოჯახის ბურჯათ“, ხოლო ამავე დროს თავისივე ცოლისა და ქალიშვილის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება.

ყველა ეს მეზურნეები, თულუხჩები და დალაქი, ეს მოქალაქეთა ცოლები, რომელნიც „წყლის ნაყვის“ მეტს არაფერს აკეთებენ და „სიმონიკა-ბიჭი“, ყველა ეს ხომ მარჯანიშვილის მიერ მხატვრული ხელით მოქარაგმებული მინიატურებია, და რაც უფრო საგრძნობია, ეს სინამდვილე, ერთად-ერთი სინამდვილე, არა სცენა—არამედ თვით ცხოვრების სახე.

მთელი სცენა გეურქასთან, სადაც გადაბმული კამათია „მზის დაბნელების“ გარშემო, საგანგებო საცქერი სურათია. მიუხედავათ იმ ექინესი*), რომლითაც ჰპორაობენ, გულ-დაჯერებული ნენე, გეურქა, ორთავე თავადები და ტიკჭორიანი გლეხი—გველეშაპის ჩამოფრენაზედ ტყუპათ, ხუთ-ხუთი ბავშვების დაბადებაზე, ერთი დედის მუცლიდან და სხვა და სხვა და სხვა.

დიდებული იყო წვიმის მოსვლა და ატალახიანების სცენა. ხოლო თვით მზის დაბნელების სურათზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ის საშინელი პანიკა და შეძრწუნებული მდგომარეობა, რომელიც შეიპყრობს იმ დროის ტფილისელებს, იწვევს დაუსრულებელ სიცილს აუდიტორიაში. კიდევ ბევრათ უმჯობესია ბებიასი, დედ-მამის და მეზობელ ქალების, ტირილის სცენა „გველეშაპის“ მიერ მოტაცებულ ქალიშვილზე.

— სცენაზე მწუხარება,—დარბაზში სიცილი. აქ უკანასკნელი დეტალიც დაცულია; თეთრი ზეწრებით შესუდრული სარკეები და პორტრეტები, დღიურ სინათლისაგან ჩაკეტილი ფანჯრის დარაბები და სხვა, ასე რომ მაყურებელი პირდაპირ განცვიფრებაში მოდის ამ სინამდვილით.

შესანიშნავად მოსთქვამდნენ ქვითინით **ბ. გოცირიძე, ქ-ნი ჩერქეზიშვილი** და **ჯავახიშვილის ქალი**. შემდეგ „სიმონიკა-ბიჭის“ სამძიმარი. ეს ქალის გატაცების მთავარი მომწყობი, მატყუარა იმერელი, შეუმჩნეველის პირფერობით და თვალთმაქცობით. ამ როლში ახალგაზრდა მსახიობმა **მ: ლორთქიფანიძემ**, პირდაპირ საეფექტო შთაბეჭდილება დასტოვა, ამ განსხვავებულს სიცოცხლის და დაუდეგარობის წმიდა იმერლის ტიპიურობით.

იქ ნარდი, იქვე არყის სმა და ცალკე ფეხმორთხმული ქეიფი, ზურნა,—თულუხჩები, მეკურტნეები, მებულკეები. ნაყინებით მოვაჭრე—თავისებურის გაძახილით, და ბოლოს „რუსის ჩინოვნიკი“ და მაწანწალა ასტრონომი—განა ყოველივე ეს ფერადი მინიატურები არაა? ჩემის ფიქრით ცოტათი გადაჭარბებულია რუსის მთვრალ „მუჟიკისა“ და მისი დედაკაცის სცენა ცოტათი შარჟული. აგრეთვე სუსტია სინათლის ეფექტები, თუმცა აქ რეჟისორს სრულიად არ უდევს ბრალი. თეატრალურ ტეხნიკის ნაკლებობის გამო. ერთი სიტყვით როგორც დადგმა უმთავრესათ, ისე მსახიობების თამაში—ფრიად მხატვრულია.

დიდი მადლობა ბ-ნ მარჯანიშვილს, რომელმაც სწორედ სული ჩაუდგა ამ უმნიშვნელო სიუჟეტის, ტრაფარეტულ კომედიას და შესძლო მისი სეზონის საფალავნო პიესათ დასურათხატება. დიდი მადლობა აგრეთვე მსახიობებს.

ქ-ნ ჩერქეზიშვილს, ჯავახიშვილს, ქიქოძის ქალს, გამყრელიძეს, ვასაძეს და გოცირიძეს, რომელთაც უაღრესათ ფართე ესტეტიური შთაბეჭდილება დასტოვეს ამ საღამოს.

პ. ბებუთოვი.

---

*) ექინეა—სისულელე, როშვა.

---

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე დაადგინა [illegible] რვა წლის თავის აღსანიშნავად მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი თებერვლის 15 უძღვნას აკაკის და კვირას თებერვლის 18 დაფნის გვირგვინი დაადგას აკაკის ძეგლს. ყველა საზოგადო და კულტურული დაწესებულებანი ამ დღისთვის მოწვეულ იქნებიან საბჭოს მიერ საგანგებო ბარათებით.

**პოეტი ბაჩანა**. როგორც მწერალთა კავშირის საბჭოს ატყობინებენ პოეტი ბაჩანა ამ ჟამად უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. სრ. საქ. მწერ. კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღმოუჩინონ ბაჩანას სასწრაფო დახმარება.

**ლიტერატურული ხუთშაბათი**. თებერვლის 15 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ გაიმართება აკაკის საღამო. სიტყვებს წარმოსთქვამენ: კ. გამსახურდია, კ. აბაშიძე, არ. ჭუმბაძე, დასასრულ ლექსები და მოგონებები.

**მოხსენება უნივერსიტეტში**, სამშაბათს, თებერვლის 13, სახელმწიფო უნივერსიტეტის 1 აუდიტორიაში სტუდენტთა „ისტორიულ ლიტერატურული“ წრე გამართავს მორიგ მოხსენებას. მომხსენებელია ზ. კიკნაძე. თემა: **ბესარიონ გაბაშვილი** (ბესიკი).

დასაწყისი საღ. 7 საათზე დასწრება შეუძლია ყველას.

# მოწერილი ამბები

**წერილი სამტრედიიდან.** 4 თებერვალს შესდგა სამტრედიის მუშათა და გლეხთა საბჭოს სხდომა დღის წესრიგში იყო მოხსენება აღმასკომის მუშაობის შესახებ მთელი 1922 წლის განმავლობაში და ტეხნიკუმის შენობის აგება ქალაქ სამტრედიაში. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სპ. კიკაჩეიშვილი, რომელმაც მკაფიოთ დაასურათა მთელი ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ეწეოდა აღმასკომი და მისი კომუნალური განყოფილება. მთავარ ყურადღებას იპყრობდა გზა შარების გაფართოვება და შეკეთება რაც შვიდი წლის განმავლობაში არ მომხდარა. ქალაქის საავადმყოფოს რკინის გზის შენობიდან ქალაქის შენობაში გადმოტანა საერთოთ საბაჭოთა შენობების შეკეთება მასწავლებელთა და მილიციის ჯამაგირებით დაკმაყოფილება და სხვა. საბჭომ მოხსენება მიიღო დამაკმაყოფილებლად. საბჭო დიდი ინტერესით შეხვდა ტეხნიკუმის შენობის აგებას, რადგან სამტრედიაში ტეხნიკუმისთვის ჯერ-ერთი, რომ შესაფერისი ბინა არ მოეპოვება, რის წყალობით ხან ერთ შრომის სკოლის შენობაში თავსდება და ხან მეორეში, რაც რასაკვირველია დიდად აბრკოლებს სწავლის საქმეს; მეორე მხრივ სამტრედიას გარშემო ახლავს დიდი თემები, როგორიცა კულაში, მარანი, ტობენიერი, გომი. საპაიჭავო, ვანი და ეწერი, რომლების მოწაფეების უმრავლესობა სწავლობენ სხვა და სხვა ქალაქებში სამტრედიის ტეხნიკუმში ალაგის უქონლობის გამო. მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა სამტრედიის ტეხნიკუმში დღეს დღეობით ითვლება ხუთასამდე მოწაფე. ამისათვის თუმცა გართულებულ პირობებში ვცხოვრობთ, მაგრამ ამ თემების დახმარებით და მთავრობის შემწეობით რომელმაც ტეხნიკუმის სასარგებლოდ გადასდო სამტრედიის რაიოში შეკრებული ნატურალურ გადასახადით ხუთი ათასი ფუთი სიმინდი შესაძლებელი გახდა ტეხნიკუმის შენობის აგების გადაწყვეტა.

საბჭომ აირჩია კომისია ხუთი წევრისაგან, რომელსაც დავალა აღმასკომთან ერთად გადადგას ყოველგვარი ნაბიჯები ტეხნიკუმის შენობის ასაგებად „სტაროსელსკის“ მოედანზე.

3 თებერვალს ქალაქის კლუბში იქნა გამართული უფასო ლიტერატურული საღამო სამტრედიის მეორე მთლიანი შრომას სკოლის მიერ—რომელსაც დაესწრო დიდ ძალი საზოგადოება და მშობლები. საღამო ჩატარდა საუცხოვოთ ყველანი დიდი კმაყოფილი დარჩენ მით უმეტეს მშობლები, რომლებმაც თავის თვალით დაინახეს მათი შვილების მიერ გამართული საღამო.

სასურველი იქნებოდა თუ კი სხვა სკოლებიც წაბაძავდენ ამ გვარ მაგალითს მით უმეტეს რომ სამტრედიაში 4 შრომის სკოლის გარდა არსებობს ტეხნიკუმიც, ამ საღამოს მოწყობაში დიდი მადლობის ღირსია როგორც სკოლის გამგე ქ-ნი ლორთქიფანიძე აგრეთვე ყველა მასწავლებლები და აღმასკომის—ეკონომიურ განყოფილების გამგე ამხ. ხოჭუა, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა კლუბში განათების მოგვარებაში.

სამტრედიაში მოქმედებს ელექტრონის სადგური, რომელიც წუთობით და ნახევარ საათობით მუშაობს. მასზედ იმედების დამყარება ყოვლად შეუძლებელია. დაწესებულებაში უსათუოთ ერთი და იმავე დროს უნდა გქონდეთ ანთებული ლამპებიც,—რომ ელექტრონის ხშირი ჩაქრობის დროს მუშაობა არ შეფერხდეს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეშენ აღნიშნული—სადგურის მიღება თავის მხედველობის ქვეშ განზრახული ჰქონია კოოპერატიულ კავშირს რაც დიდად სასურველი. იქნებოდა იმ იმედით რომ კოოპერატივთა კავშირი სასურველ ნიადაგზე დააყენებს წარმოებას და ხელს შეუწყობს მის განვითარებას. მით უფრო რომ ამ კავშირს სათავეში უდგას დახელოვნებული და გამოცდილი კოოპერატორი გ. ნაფეტვარიძე, რომელმაც შესძლო მოკლე ხანში სამტრედიაში მოეწყო მატორიანი წისქვილი და სახერხი ქარხანა.

ოლლახშვილი.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** პირადობის მოწმობა მოცემული სოფ. სილასპასკის (სტავროპოლის გუბერნიის ბლაგადარსკის მაზრის) კომისრიდან, ალექსანდრა პეტრეს ასული პრასალოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 394

**დავკარგე** რეგისტრაციის ბარათი მოცემული მე-4-ე რაიონის კომისარიდან. გიორგი იმედაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 393

**დავკარგე** პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო დარგის სტუდენტ თამარ ევგენის ასულ კიკოლაშვილის. № 296 ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1—1 392

ტირაჟი 700

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2